საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/19

ქ. ბათუმი **20 აპრილი, 2022 წ**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური (2021 წელი) ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) სამსახურებრივი ბარათის (207126, 28/02/2022), წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N5 სხდომის ოქმისა და რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში (დანართი 1)**, მათ შორის ბსუ-ს 2021 წლის ბიუჯეტის საკასო შესრულება **(დანართი 2).**
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის

20 აპრილის №07-01/19 გადაწყვეტილების

დანართი N1

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური (2021 წელი) ანგარიში

ნ. ჩხარტიშვილი

შესავალი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციაა უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიანი მართვის საშუალებით. აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია რესურსების ოპტიმალური განაწილება, კანონშესაბამისი საქმიანობის უზრუნველყოფა, რისკების შეფასება, შედეგების მონიტორინგი.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე. ამ მიზნით იგი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, კოორდინაციას უწევს ბიუჯეტის დაგეგმვას, შესრულებასა და ანგარიშგებას, დებს გარიგებებს და ა.შ.

წარმატებული საერთო საუნივერსიტეტო საქმიანობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ადმინისტრაციის გამართულ ფუნქციონირებასა და შედეგებზე ორიენტირებულ საქმიანობაზე. აღნიშნული პროცესის კოორდინირება კი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უმთავრესი ამოცანაა.

პრობლემები და გამოწვევები

საქმიანობის დაწყებისთანავე ჩვენ აღმოვჩნდით სხვადასხვა გამოწვევის წინაშე, რომელთა შორის გამოვყოფთ რამდენიმე უმნიშვნელოვანესს:

- არაპროგრამულად დაგეგმილი ბიუჯეტი, რომელშიც არ ჩანს რა შედეგებზეა ორიენტირებული ფინანსური რესურსების ხარჯვა;
- შესყიდვების გეგმისა და ბიუჯეტის შეუსაბამობა;

- შესყიდვების გეგმის მუდმივი ცვლილება წარმოქმნილი საჭიროებების არასისტემური, ფრაგმენტული კვლევისა და სუბიექტურად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე;

- განხორციელებული შესყიდვების ეკონომიებისა თუ განუხორციელებელი (მაგრამ დაგეგმილი) შესყიდვების რესურსების ანალიზის არარსებობა;

- წლის განმავლობაში მსგავსი შესყიდვების რამდენჯერმე განხორციელება, რაც ზრდის დანახარჯებს და ამცირებს ეფექტიანობას;

- ცალკეულ შემთხვევებში საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტებით მოწესრიგებულ ურთიერთობაში არსებული ხარვეზები;

- მიღებული საუნივერსიტეტო აქტების პრაქტიკაში განუხორციელებლობა (მაგალითად, ბიუჯეტის შედგენის წესი, რომელიც ითვალისწინებდა ბსუ-ს ბიუჯეტის პროგრამულად დაგეგმვას);

- შიდა კონტროლის მექანიზმების არარსებობა ან გაუმართაობა;

- სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევისა და გადაადგილების მონიტორინგის სისტემის არარსებობა;

- ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა;

- შეფერხებები უცხოელი სტუდენტების მოზიდვის საქმეში;

- საინფორმაციო სააგენტოებთან თანამშრომლობის არარსებობა;

- ინფრასტრუქტურული წესრიგის სისტემური მონიტორინგის არარსებობა და ა.შ.

სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები

საქმიანობის დაწყებისთანავე იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებული იყო არსებული მექანიზმების გამართვაზე ან/და არარსებულის შემოღებაზე, კომპლექსური მიდგომების გამოყენებაზე, ტაქტიკური და სტრატეგიული გეგმების განხორციელებაზე, შედეგზე ორიენტირებული ხარჯების გაწევაზე, ეკონომიურობასა და ეფექტიანობაზე.

მეტი პრეზენტაბელურობის მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სხვადასხვა მიმართულებების გამოკვეთა.

<u>მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ღონისძიებები:</u>

არაპროგრამულად დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში წლის მეორე ნახევარში მოვახერხეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება:

- შევისწავლეთ მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებები, მოვახდინეთ მათი კონსოლიდაცია და ერთიანი შესყიდვების განხორციელება, რითაც დაიზოგა ფინანსური რესურსები და მოხდა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა სამართლიანი განაწილება.

- შესყიდული მყარი დისკების მეშვეობით მიმდინარეობს 600 ერთეული კომპიუტერის განახლება. მსგავსი მასშტაბური ტექნიკური განახლება 3-4 წლიანი შეუფერხებელ ფუნქციონირების წინაპირობაა;

- კომპიუტერული კლასებისათვის შეძენილია 80 ერთეული მაღალი ტექნიკური მახასიათებლების მქონე პერსონალური კომპიუტერი;

- მთლიანად საუნივერსიტეტო საჭიროებისთვის შეძენილია 35 პროექტორი, რომელთა სამონტაჟო სამუშაოები დასრულებულია;

- შეძენილია 46 მრავალფუნქციური, კომბინირებული, მაღალი წარმადობის პრინტერი, რომლებიც არსებული საჭიროების გათვალისწინებით გადანაწილდა ფაკულტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და სამსახურებს შორის;

- შეძენილი იქნა ქობულეთის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის უხარისხოდ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამო დამდგარი ზიანის დადგენის მიზნით საექსპერტო მომსახურება და მომწოდებელი კომპანიის მიმართ სასამართლოში წარდგენილი იქნა სასარჩელო მოთხოვნა. პარალელურად, აღდგენით სამუშაოებზე გამოცხადდა ტენდერი და მიმდინარეობს სამუშაოები;

- შეძენილი იქნა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უხარისხოდ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამო დამდგარი ზიანის დადგენის მიზნით საექსპერტო მომსახურება, მომწოდებელი კომპანიის მიმართ მზადდება სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოში წარსადგენად. პარალელურად, აღდგენითი სამუშაოების შესასყიდად მიმდინარეობს პროცედურები;

- შესწავლილი იქნა ავეჯის მიმართულებით მთლიანად საუნივერსიტეტო საჭიროებები და მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურები კონსოლიდირებულად და ერთიანად;

- დაინერგა ინფრასტრუქტურული სამუშაოების საჭიროებების მუდმივი მონიტორინგის მეთოდი, რაც საშუალებას გვაძლევს შესაბამისი სამუშაოები შევიძინოთ არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური მიდგომით და გაცილებით ეკონომიურად.

- შეძენილია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობის სახანძრო უსაფრთხოების პროექტი და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოების შესყიდვის პროცედურები.

<u>შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრულყოფის ღონისძიებები</u>

გამართული ადმინისტრაციული საქმიანობის უმთავრესი პირობაა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და საუკეთესო პრაქტიკასთან. ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს ე.წ. სადიაგნოსტიკო სამუშაოები, თუმცა, დროის მცირე მონაკვეთში მოვახერხეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი წესის სრულყოფა. მათ შორის მნიშვნელოვანია:

- შემუშავდა და დამტკიცდა ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის ახალი წესი, რომელიც დეტალურად აღწერს პროგრამული ბიუჯეტის შესადგენად განსახორციელებელ პროცედურებს და სრულ შესაბამისობაშია როგორც საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობასთან, ისე საგანმანათლებლო საქმიანობის თავისებურებებთან;

- შემუშავდა და დამტკიცდა ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და საუკეთესო პრაქტიკასთან;

- შემუშავდა და დამტკიცდა ბსუ-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისა და შესყიდვების წლიური გეგმის შედგენის წესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან და საუკეთესო პრაქტიკასთან;

- შემუშავდა ინვენტარიზაციის განხორციელების სამუშაო დოკუმენტები.

- შემუშავდა და დამტკიცდა ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესი, რომლითაც დარეგულირდა შიდა აუდიტის საქმიანობის ფარგლები და პასუხისმგებელობა, განისაზღვრა მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში ღია კონკურსით მიღების ვალდებულება, დადგინდა შიდა აუდიტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაში მოვიდა ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონთან;

გარდა აღნიშნულისა, აქტიურად მიმდინარეობს სხვა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტების სრულყოფის მიზნით პროექტების მომზადება.

<u>პროგრამული ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვების გეგმა</u>

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ფინანსური რესურსები, რომელთა შედეგზე ორიენტირებული ხარჯვა ცალსახადაა დამოკიდებული ორგანიზაციის ბიუჯეტის პროგრამული პრინციპით დაგეგმვაზე.

ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა განხორციელდა პროგრამული ბიუჯეტის პრინციპით, რომლის შესადგენად განხორციელდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტების, პროფესიული პროგრამების მართვისა და და უწყვეტი განათლების ცენტრის, სტრუქტურული ერთეულების სამუშაო შეხვედრები. პირველად საბიუჯეტო პროცესში ჩართული იყო ყველა რგოლი და მათ საშუალება ჰქონდათ წარმოედგინათ საჭიროებების შესაბამისი საბიუჯეტო განაცხადები. აღნიშნულმა პროცესმა გამოკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი უპირატესობები, როგორიცაა:

• ღონისძიებათა დაგეგმვა პრიორიტეტულ ჭრილში;

• ღონისძიებების/ხარჯების განხორციელების პასუხისმგებლობის გადანაწილება ფაკულტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს შორის;

• ხარჯების დაგეგმვა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობაში;

• პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვა დაფინანსების წყაროების მიხედვით;

• გამჭვირვალობის, ყოვლისმომცველობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების რეალიზება.

ყველა რგოლის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადის ანალიზის, ურთიერთშეჯერების, კონსოლიდაციის, კლასიფიცირების საფუძველზეგამოვკვეთეთ ოთხი ძირითადი მიმართულება ანუ პროგრამა:

√ ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა;

√ უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება;

√ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება;

√ ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა.

პროგრამა - ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა შედგება 12 ქვეპროგრამისაგან, რომელშიც წარმოდგენილია ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ღონისძიებების (ხარჯების) ერთობლიობა ავტონომიურობის პრინციპის დაცვით. აღნიშნულ პროგრამაშია, ასევე, წარმოდგენილი შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი დაფინანსების ქვეპროგრამა, რომელიც იძლევა 2020 წლის კონკურსში გამარჯვებული და შემდგომ შეჩერებული პროექტების გაგრძელების შესაძლებლობას.

ფაკულტეტების ჭრილში ქვეპროგრამათა დაგეგმვა და განხორციელება პირდაპირ კავშირშია ავტორიზაცია/აკრედიტაციის მოთხოვნებთან. ამასთან, ფაკულტეტი უშუალოდ ხდება ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი, რამდენადაც ღონისძიებები დაგეგმილია მისი ინიციატივით და მოსალოდნელი შედეგების მიღწევაში მას ხელს ადმინისტრაციული ბარიერები არ შეუშლის.

პროგრამა - უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება წარმოდგენილია ორი ქვეპროგრამით: საუნივერსიტეტო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა. ადმინისტრაციული მხარდაჭერის ქვეპროგრამაში გაერთიანებულია ის გარდაუვალი ღონისძიებები, რომელთა განხორციელება საერთო საუნივერსიტეტო საჭიროებებთანაა დაკავშირებული. მეორე ქვეპროგრამაში კი უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფაზე მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობაა წარმოდგენილი, რაც სრულ წარმოდგენას აძლევს

ბიუჯეტის მომხმარებელს ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებსა და მისაღწევ შედეგებზე.

პროგრამა - უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება მოიცავს ორ ქვეპროგრამას: IT ტექნოლოგიების განვითარებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მიმდინარე/კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების უზრუნველყოფას. პირველ ქვეპროგრამაში წარმოდგენილია ბსუ-ს კომპიუტერული ბაზის განახლებასთან და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებები, ხოლო მეორე ქვეპროგრამა კი მოიცავს ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესებასთან უშუალოდ დაკავშირებულ მოცულობით ხარჯებს.

პროგრამა - ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა ითვალისწინებს სხვადასხვა სტუდენტური აქტივობების დაფინანსებას, სადაც ღონისძიებები წარმოდგენილია ორი ქვეპროგრამის სახით: საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა და კულტურული და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეპროგრამებში დაგეგმილ დეტალურ ხარჯებს/ღონისძიებებს განსაზღვრული აქვთ მოსალოდნელი შედეგები და მათი გაზომვის თვალსაჩინო კრიტერიუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან.

პროგრამული წესით შედგენილი ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცების პროცესში გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი უპირატესობები, როგორიცაა:

• გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის თვალსჩინო გახდა პროგრამული პრიორიტეტები და ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ხარჯების მოსალოდნელი შედეგები;

• არჩევანი გაკეთდა მკაფიოდ განსაზღვრული მოლოდინებით;

• ხელმისაწვდომი გახდა დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

პროგრამული ბიუჯეტის შესრულების პროცესში გამოვკვეთავთ შემდეგ უპირატესობებს:

• კონკრეტული ღონისძიების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება შესაბამის ობიექტურ გარემოებებს;

• განხორციელდება პროგრამებს შორის არსებული მსგავსი შესყიდვების კონსოლიდაცია ეკონომიურობისა და დროულობის პრინციპების გათვალისწინებით;

• სტრუქტურული ერთეულების მიერ დაგეგმილი ღონისძიებებიშეუფერხებლად განხორციელდება ბიუროკრატიული წინააღმდეგობების რისკების მინიმიზაციის საფუძველზე;

• განხორციელდება შესყიდვებით წარმოქმნილი ეკონომიების ეფექტიანი მართვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის;

• წლის განმავლობაში წარმოქმნილ მიმდინარე საჭიროებებზე მოხდება დროული რეაგირება.

ანგარიშგების ეტაპზე პროგრამული ბიუჯეტის უპირატესობებს შორის კი გამოვკვეთავთ შემდეგს:

• ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში წარმოადგენს არა ხარჯების გაწევის შესახებ საკასო შესრულების მაჩვენებლებს, არამედ მიღწეული შედეგის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას.

• ანგარიშგების მომხმარებელს ეძლევა საშუალება დაგეგმილი და მოსალოდნელი შედეგები შეადაროს ფაქტობრივად მიღწეულს;

• განისაზღვრება გაწეული ხარჯების შედეგიანობა არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ჭრილში.

• დაცულია ანგარიშვალდებულების პრინციპი.

პროგრამულად დაგეგმილი ბიუჯეტის საფუძველზე საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო ბსუ-ს 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენა, რომლიც ფარგლებშიც მოხდა ყველა პროგრამითა და ქვეპროგრამით დაგეგმილი ხარჯების/ღონისძიებების კონსოლიდაცია მსგავსი შესყიდვების ერთიანად და ეკონომიურად განხორციელების მიზნით. შესყიდვის საშუალებები დაჯგუფდა დაფინანსების ოთხი წყაროს (საკუთარი შემოსავლები, აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტი, საკუთარი ბიუჯეტი და გრანტები) მიხედვით, რაც შესყიდვების გეგმაზომიერ და მოქნილ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ბსუ-ს ბიუჯეტის პროგრამულად დაგეგმვა, ასევე, უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

<u>სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები</u>

- ბსუ-ში უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით აქტიური კონსულტაციების საფუძველზე გაფორმდა ორ ორგანიზატორ კომპანიასთან მემორანდუმი, რომელიც სტუდენტთა მოზიდვასთან ერთად ითვალისწინებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსების გაუმჯობესების მიზნით შემოწირულობის სახით ფულადი სახსრების გადმოცემას. პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს და შემოწირულობების ნაწილი უკვე ჩარიცხულია ბსუ-ს ანგარიშზე. ამასთან, მემორანდუმის აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებას უშუალოდ უნივერსიტეტთან და არა შუამავალი კომპანიის გავლით, რაც წინა წლების ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული სასამართლო დავის წარმოშობის მიზეზების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს;

- განხორციელდა ბსუ-ს მიერ წარდგენილი ქონების გადასახადის 2018, 2019 და 2020 წლების წლიური დეკლარაციების კორექტირება, რომლის ფარგლებშიც სრულად იქნა გამოყენებული საგადასახადო კოდექსით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული შეღავათები. წარდგენილი დაზუსტებული დეკლარაციების შედეგად ბსუ-ს ქონების გადასახადში წარმოეშვა828 227 ლარის ოდენობის ზედმეტად გადახდილი გადასახადი, რომლის გამოყენებაც მოხდება მომავალში წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად. აღნიშნული კი განაპირობებს მომავალში ამავე ოდენობის ხარჯების დაზოგვას და საგადასახადო ვალდებულებების კანონშესაბამისად შესრულებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოშობილმა ზედმეტობამ მნიშვნელოვანი ფინანსური სარგებელი მისცა უნივერსიტეტს;

- ბსუ-ს მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების გავრცელების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ , რომლის ფარგლებშიც საუნივერსიტეტო ამბების განთავსება ხდება მნიშვნელოვან და უდიდეს ონლაინ პლატფორმაზე, რაც ხელს უწყობს ბსუ-ს პოპულარიზაციას;

- შემუშავდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშით გაცემული რეკომენდაციების შესრულების გეგმა, რომელთა ფარგლებში უკვე განხორციელდა რამდენიმე მათგანი, კერძოდ, ზედმეტად დარიცხული და გადახდილი სწავლის

საფასური დაუბრუნდა 455 პირს (სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს) ჯამში 280 000 ლარზე მეტი, დაინერგა ავტომობილების გადაადგილების მონიტორინგის GPS სისტემა საწვავის რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, შესყიდვების განხორციელებისას ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შემუშავდა შიდა ინსტრუქცია. სხვა რეკომენდაციების შესასრულებლად მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები;

- შიდა რესურსის გამოყენებით შემუშავდა უნივერსიტეტის ეზოს კეთილმოწყობის თანამედროვე პროექტი, რომლის განსახორციელებლად დაგეგმილია ხარჯთაღრიცხვის შეძენა;

- საუნივერსიტეტო სივრცეში მოეწყო ვაქცინაციის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეთა შეუფერხებელ ჩართვას კოვიდ-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში;

- უნივერსიტეტის შენობაში თვეების განმავლობაში ხორციელდებოდა პერსონალისა და სტუდენტთა უფასო სწრაფი კოვიდ-ტესტირება ანტიგენის მეთოდით;

- გაუქმდა გამოუყენებელი შვებულებების მომდევნო წელს გადატანის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც ხორციელდებოდა დაუსაბუთებლად და შრომის კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით;

- აღდგა ბსუ-ს შემოქმედებითი ჯგუფების მუშაობა, რომელთა ღონისძიებების დასაფინანსებლად 2022 წლის ბიუჯეტში დაგეგმილია შესაბამისი ხარჯები;

- ბიუჯეტის პროგრამულად დაგეგმვამ საშუალება მოგვცა 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებულიყო პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდა;

- ადმინისტრაციამ განახორციელა შეჩერებული 2020 წლის შიდა მიზნობრივი გრანტების განახლებისთვის შესაბამისი ღონისძიებები, რომლის უზრუნველსაყოფად 2022 წლის ბიუჯეტში განსაზღვრულია შესაბამისი ქვეპროგრამა.

ბიუჯეტის შესრულება

როგორც ცნობილია, 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იყო მხოლოდ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მსხვილ მუხლებთან მიმართებაში და იგი არ მოიცავდა განსახორციელებელი ხარჯების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

2021 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებდა ჯამურად 22 944 900 ლარის შემოსავლების მიღებას, ფაქტიურად მიღებულმა თანხამ შეადგინა 22 318 491,32 ლარი, გეგმის შესრულების მაჩვენებელი, შესაბამისად, შეადგენს 97,27%-ს.

ამავე ბიუჯეტის ფარგლებში ჯამურად დაგეგმილი იყო 21 811 140 ლარის ხარჯვა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 18 719 253,22 ლარი. გეგმის შესრულების მაჩვენებელი, შესაბამისად, შეადგენს 85,82%-ს.

2021 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის

20 აპრილის №07-01/19 გადაწყვეტილების

დანართი N2

ბსუ-ს 2021 წლის ბიუჯეტის საკასო შესრულება

№	დასახელება	საკასო შესრულების რაოდენობრივი მაჩვენებელი
	I. შემოსავლები	22 318 491,32
1	გრანტები	1 684 626,26
	საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	786 879,58
	უცხოური გრანტები	897 746,68
2	სხვა შემოსავლები	20 633 865,06
2.1.	სწავლის ქირა სწავლის დონეების/სახეების მიხედვით	18 269 872,38
2.2.	შემოსავლები სხვადასხვა დონის ბიუჯეტებიდან	1 396 254,19
	სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელი	218 265,95
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელი (გრანტი)	1 177 988,24
2.3.	შემოსავლები სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობიდან	967 738,49
	შემოსავლები მოკლევადიანი და გრძელვადიანი იჯარებიდან	13 440,00
	შემოსავლები საგამომცემლო საქმიანობიდან, საერთო საცხოვრებლის ქირის, ქსეროქსის და გაწეული სხვა მომსახურების საფასური	69 868,17
	საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე პროცენტის დარიცხვა	884 430,32
	II. სულ ჯამური თანხა (ხარჯები + არაფინანსური აქტივების ცვლილება)	18 719 253,22
1	ხარჯები	17 638 223,19
1.1.	შრომის ანაზღაურება	10 877 488,67
	საქონელი და მომსახურება	4 695 687,47
1.2.	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	3 274 039,82
1.3.	მივლინება	73 313
	მივლინება ქვეყნის შიგნით	41 002,44
	მივლინება ქვეყნის გარეთ	32 310,56
1.4.	ოფისის ხარჯები	846 241,29
	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	16 350,00
	კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი	1 579,95
	ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი	93 851,40
	კომპიუტერული ტექნიკა	23 339,00
	კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	29 814,25
	გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა	3 900,00
	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	147 570,70
	ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი(სამეურნეო საქონელი, კარის საკეტები, საღებავები, შლანგი, ნიჩაბი, ონკანი, ვენტილი, ელექტრო საქონელი, ელ.ჩამრთველი, ნათურა, და ა.შ.)	23 855,00
	რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარიული საგნების შეძენის ხარჯი	10 849,98
	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	5 171,00

	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	10 568,46
	კავშირგაბმულობის ხარჯი	106 896,49
	საფოსტო მომსახურების ხარჯი	5 199,23
	კომუნალური ხარჯი	367 295,83
1.5.	წარმომადგენლობითი ხარჯები	26 705,50

1.6.	სამედიცინო ხარჯები	7 735,92
1.7.	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	13 696,00
1.8.	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	96 935,93
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	37 186,04
	მიმდინარე რემონტის ხარჯი	39 502,89
	ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	7 268,00
	ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	12 979,00
1.9.	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	357 020,01
	ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯი	11 072,10
	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	4 680,00
	რეკლამის ხარჯი	1 246,80
	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	12 170,17
	საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი	4 932,40
	აუდიტორული მომსახურების ხარჯი	250,00
	საარქივო მომსახურების ხარჯი	638,50
	შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი	123 360,00
	კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები	31 175,00
	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	167 495,04
1.10.	სუბსიდიები სხვა სექტორებს	723 861,12
1.11.	გრანტები	42 527,37
	გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	4 004,37
	გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	38 523,00
1.12.	დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	30 630,58
1.13.	სხვა ხარჯები	1 268 027,98
	სხვა სახელობის სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯი	115 059,42
	გადასახადები (გარდა საშემომოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ-ის)	604 555,00
	მოსაკრებლები	12 250,00
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი	536 163,56
2	IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)	1 081 030,03
2.1.	არასაცხოვრებელი შენობები	105 888,07
2.2.	კომპიუტერი, ტელევიზორი, ფოტოაპარატი	350 698,00
2.3.	პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები	87 454,00
2.4.	ოპტიკური ხელსაწყო (მ.შ. პროექტორები)	4 900,00
2.5.	ავეჯი	2 901,00
2.6.	სხვა	235 327,96
2.7.	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები (აკრედიტაცია)	293 861,00